
ნით თავი შეიკავა, მოიქცა; აკ-

და عَنْ ნით მოაქცია, მოაბრუ-

ნა. V. تَمَسَكَ, ب ნით ხელი

მოსქიდა; მოექიდა.

مِسْكُ (< მსარს. مِسْك < მკ. ინდ-

muskas) მუშკი.

تَمَسَكَ მოქიდება, მოკიდება;

სიმტკიცე (შდრ. ჭართ. თამა-

ს უ ქ ი).

مَسُو - IV. أَمَسَى იყო, შეიქნა,

გახდა სალამოთი, შემდეგ საერ-

თოდ (პრელიკატული აკუზაციით);

იყო, გახდა, შეიქნა რამედ.

مَسَا სალამო, სალამოს ეამო,

მწუხრი. ანცნ. صَبَّاح.

مَشَطَ (უ, ი), მასდ. مَشَطَ დამ. ივარ-

ცხნიდა (თმას).

مَشَطَ მრ. مَشَّطَ საეარცხელი.

مَشَى (ი), მასდ. مَشَى აბიჯებდა,

ქვეითად მიდიოდა; ანცნ. رَكِبَ

დადიოდა. V. تَمَشَّى ნელა დადიოდა, აქეთ-იქით დადიოდა, მიმოდიოდა, სეირნობდა.

⑤ სვლა, სიარული, მსვლელობა.

⑤ მრ. مَشَى სვლა, სიარული.

⑤ მრ. مَشَى სვლა, სიარული.

⑤ მრ. مَشَى ქვეითი, ქვეითად მოსიარულე.

⑤ მრ. مَشَى რაც დადის, ცხოველი, საქონელი.

⑤ ნელა სიარული, აქეთ-

იქით სიარული, სეირნობა (შდრ. ქართ. თამაში).

⑤ მრ. مَصَرَ (დიდი) ქალაქი.

⑤ მრ. مَصَرَ (უბრ.) ეგვიპტე, მისრეთი. მიმართ. مِصْرِي

მრ. ეგვიპტელი; ეგვიპტური.

⑤ მრ. مَضَغَ (უ, ა), მასღ. მრ. مَضَغَ ღე-

ქავდა (საქმელს).

⑤ მრ. مَضَغَ ლუკმა, ხორცის ნაჭერი.

⑤ მრ. مَضَى (ი), მასღ. მრ. مَضَى წავიდა; გა-

იარა, ჩაიარა; ადგილი ჰქონდა, მოხდა; განვლო (დრო);

⑤ ნ-ით მივიდა (ვინმესთან, სადმე);

⑤ ნ-ით დააბოლოვა (საქმე და სხვ.);

⑤ ნ-ით წაიღო, წაიყვანა.

IV. مَضَى დასრულა, შეასრულა, დაასრულა (საქმე).

⑤ მრ. مَضَى წარსული; გრამ.

⑤ მრ. مَضَى პერფექტივი, ნამყო.

⑤ მრ. مَطَرَ წვიმა.

⑤ მრ. مَطَرَ (< სირ. < ბერძნ. μετροποι-

λστος) მრ. مَطَرِينَ და مَطَرَانِ

მიტროპოლიტი.

⑤ მრ. مَطَا (უ), მასღ. მრ. مَطَا ჩქარობდა;

⑤ მრ. مَطَا (ა), მასღ. მრ. مَطَا გრძე-

ლი, გაგრძელდა. VIII. اَمْتَطَى

შეგდა (ცხენზე და მისთ.).

⑤ მრ. مَطَا ზურგი (ცხენი-

სა და მისთ.); ბაქანი (გემისა და მისთ.).

⑤ მრ. مَطَا კრებ., კერძ. مَطِيَة მრ. مَطَا

სახედარი (მვ. ქართ. მნიშვ.),

ყველაფერი, რაზედაც აღზღე-

ბიან (ცხენი, აქლემი და მისთ.).

⑤ მრ. مَعَ წინდ. — თან, ერთად. مَعَ

მასთან, მასთან ერთად; مَعِي ჩემ-

თან, ჩემთან ერთად; مَعِجْتُ

მოვედი განთიადი-

სას. მოგვერ თუმცა, მიუხედავად.

⑤ მრ. مَعَ დამასთან ერთად; მიუ-

ხელაგვალ ამისა; مَعْ أَنْ მეგრამ,

თუმცა. مَعَا ერთად.

عوى. معوية, معاوية. სი.

معز კრებ. თხები.

مقت (უ), მასღ. ممت დამ. ეზიზ-

ლებოდა. სინ. أبغض.

مقع (ა), მასღ. مفع დამ. ხარბად

სეამდა; مقع (ა), ب ნ-ით იყო ექვის

ქვეშ. VIII. ვნებ. امتفع შეეც-

ვილა სახის ფერი მწუხარები-

საგან; გაფითრდა. مكي

مكة ქალ. მექა. მიმართ. مكي

და უფრო იშვიათად

مكاريس (< ბერძნ.) მკარი.

مكت (უ), მასღ. مكت

დარჩა, იმყოფებოდა. სინ. ليت

مكر (უ), მასღ. مكر ან ბ ნ-ით

ატყუებდა; ზაკვიდა ვინმეს მი-

მართ, მზაკვრულად ექცეოდა.

مكر შემაკობა, მოტყუება, ზაკვა.

مكر مكر. მკრ. مكر მატყუ-

არა, ეშმაკი, მზაკვარი, ბოროტ-

გამზრახველი.

المكر لار, مكر (< ქართ.) კრებ.

თურქ. მრ. რ. მეგრელები.

موس მოქსი, სომხ. მოქქ. მხარე არმენიაში, ვანის ცხისა და კორ- ლუენეს შორის.

مكن (უ), მასღ. مكانე ქონ- და ძალა, შეძლება, გაელენა.

II. مكن დამ. მისცა ძალი, ძლიერება; გახადა ძლიერი.

IV. امكن აკ. შეაძლებინა, მის- ცა ძალი, შეძლება; იყო შესა- ძლებელი ვინმესთვის, შეეძლო,

შეძლო; يمكن أن შესაძლე-

ბელია, რომ...

مكن مرن. مكناء ძლიერი.

كان. مكن. ملى (ა; მხ. რ. I. 3. ملت), მასღ.

ملى, ملى, ملى დამ. მობებრ-

და, მოსწყინდა. IV. املى დამ. მოაბებრა.

ملة (< არამ. מל) სიტყვა) მრ. مىლ სარწმუნოება, რელიგია.

სინ. دين; რელიგიური საზოგა-

დოება, ჯამათი, სექტა (შდრ. ქართ. მიღეთი).

ملا (ა), მასღ. ملا 1) აკ. გაავსო;

ორ. აკ. ან აკ. და من ან ბ (მერ- მინდელ ძეგლებში) ნ-ით გაავსო რა-

მეთი; 2) აკ. და على ნ-ით დაეხ-

მარა. مَلِي იყო სავსე, აკ. რამე-
თი. III. مَالًا დამ. ეხმარებოდა,
ხელს უწყობდა; ემხრობოდა,
უღგებოდა, იჩენდა კეთილ გან-
წყობილებას ვისიმე მიმართ.

V. مَعًا გაივსო, სავსე იყო;
ბევრი დალია, გაიბერა. VIII.

مِلًا გაივსო.

مِلًا სისავსე.

مَلًا მრ. مَلًا ბრბო; კრებული;
დიდებულნი.

مَلًا მრ. مَلًا სავსე, გავსე-
ბული.

مَالًا დახმარება, ხელის შე-
წყობა, მიმხრობა, მიდგომა, მი-
კერძობა; კეთილი განწყობი-
ლება.

مَلَح (უ) და مَلَح (უ, ა), მასდ.

مَلَح იყო მარილიანი. مَلُوحًا

(უ), მასდ. مَلُوحًا იყო ლამაზი,
მოხდენილი, მშვენიერი.

مَلَح მდ. სქ. მარილი.

مَلَح მდ. მრ. مَلَح ლამაზი,
მშვენიერი.

مَلَح მარილიანი.

مَلَح (<არამ.) მეზღვაური.

مَلَطِيَة მალატია, ქალ. მცირე აზიაში.

مَلَق (ა), მასდ. مَلَق დამ. მლიქვნე-

ლობდა ვისიმე მიმართ, პირმო-
თნეობდა, პირფერობდა; ეფა-
რისეველებოდა. V. تَمَلَّق აკ. ან
კ ნით იჩენდა პირმოთნეობას,
პირფერობას, ფარისეველობას
ვისიმე მიმართ, ეფარისეველებო-
და, ელაქუცებოდა.

مَتَمَلَّق ეინც მლიქვნელობს,
პირმოთნეობს, მლიქვნელი, ფა-
რისეველი, პირმოთნე, პირფე-
რი, ლაქუცა.

مَلَك (ი), მასდ. مَلِك აკ. ფლობ-
და რასმე; დაეუფლა; ხელში ჩა-
იგდო; ხელთ ეპყრა; ხელისუფ-
ლება ჰქონდა; განაგებდა; მარ-
თავდა, აგრეთვე على ნით მე-
ფობდა, ბატონობდა, ვინმეზე

(რამეზე), مَلِكُ سَيْفًا მახვი-
ლით დაიპყრო ის, ბრძოლით და-

ეუფლა მას. II. مَلِكًا დამ. მის-
ცა მფლობელობაში; შეაძლე-
ბინა დაუფლებოდა; დანიშნა
მმართველად, გამგედ; გაამეთა-

V. تَمَلَّكَ აკ. დაეუფლა; على
ნით მეფედ, მმართველად გაუხ-
და, გაუმეფდა.

مَلِك მმართველობა, განმგებ-
ლობა, ხელისუფლება, ბატო-
ნობა, მეფობა; სამეფო.

مَلِكٌ მრ. مَمْلَكٌ საკუთრება, სამ-

ფლობელო, ქონება.

مَلِكٌ ის. مَلِكٌ.

مَلِكٌ მრ. مَمْلُوكٌ მეფე, მთავარი.

مَمْلَكَةٌ მრ. სწ. დედოფალი.

مَمْلُوكَةٌ მეფობა; სუფევა, სა-
სუფეველი.

مَمْلِكٌ მრ. مَمْلَكَةٌ მფლობელი,
მეფე, თვითმპყრობელი.

مَمْلِكٌ მრ. مَمْلَكَةٌ მ. მფლობელი,
ბატონი, მმართველი; მწლიქი,
მამ. საკ. სახ.

مَمْلِكٌ და مَمْلِكَةٌ მრ. مَمْلِكَةٌ მ. მფლობელი,
მეღქიქტი; მეღქიქტური, მართლ-
მადიდებლური (ამჟამად კათოლი-
კური).

مَمْلِكَةٌ მრ. مَمَالِكٌ სამეფო,
სახელმწიფო. بَيْتُ الْمَمْلَكَةِ

სამეფუფეო სახლი.

مَمْلِكٌ ვინც ფლობს რას-
მე, დაუფლებული, მფლობელი;
მთავარი.

مَمْلُوكٌ მრ. مَمَالِكٌ ვინც (რაც)
ვისიმე მფლობელობაშია; მონა,
ჟმა, მამლუქი.

مِنْ مِمَّا, რაც მამა.

مِنْ مِمَّنْ, რაც მამან.

من I. კითხვითი ნაცვალსახელი ვინ? რო-
მელი? II. 1) განსაზღვრებითი მი-
მართებითი ნაცვალსახელი: ვინც,
რომელიც; ის, ვინც; ის, რომე-
ლიც; ისინი, ვინც, ისინი, რომ-
ლებიც. ზმნის გამჟღავნების შემო-
სვლაში: გაურკვეველი ვინმე, ერ-
თი ვინმე, ზოგიერთი ვინმე, ვი-

وَنَزَلَ مِنْ أَهْلِهَا مَنْ نَزَلَ

და ჩამოვიდნენ მათი მცხოვრე-
ბლებიდან ისინი, ვინც ჩამოვი-
და, ე. ი. ჩამოვიდნენ ზოგიერ-
თები. 2) განსაზღვრელობითი მი-
მართ. ნაცვალსახელი. ისეთი ვინ-
მე, ვინც; ზოგი ვინმე, ვინც;
ყველა, ვინც; როდესაც ვინმე
(ჩვეულებრივ პროტაზისში).

من (ნაცვალსახელოვან ნაწილაკებთან
და სხვ.) مِنْكَ, مِنَّا, مِنِّي.

წინდ., რომლითაც აღინიშნება მიმარ-
თება ნაწილისა მთელთან, სახეობისა
გვართან; წარმოშობა, წარმომავლო-
ბა; კუთვნილება; ურთიერთობა; მასა-
ლა, რისგანაც საგანი შედგება (ისმა-
რება როგორც პარტიციპი და ფართო
გამოყენება აქვს აღწერილობითი
გზით ნათესაობითი ბრუნვის საწარ-
მოებლად). გან, -იდან, რიცხვი-

დან;-ისა. مِنْ بَيْتِ الْمَمْلَكَةِ

სამეუფეო სახლიდან; فَخَرَجَ
 (57, 6) عَلَيْهِمْ قَوْمٌ مِنَ الْعُلُوِّ
 და გავიდა მათ წინააღმდეგ
 ხალხი ყაძახთაგან; رَجُلٌ مِنْ
 كَاتِي وَنِمْფე პატრი-
 კიოსთაგან = ერთ-ერთი პატრი-
 კიოსი; مِنَ الْمُلُوكِ ერ-
 თი მეფე მეფეთაგან = ერთ-ერ-
 თი მეფე; خَرَجَ يَوْمًا مِنَ الْآيَامِ
 (24, 11) გავიდა ერთ დღეს დღე-
 თაგან = გავიდა ერთ (რომე-
 ლიდაც) დღეს; مِنْهُمْ მათ
 შორის არიან ისეთები, ვინც =
 ზოგიერთი მათგანი; مِنْ...
 مِنْهُمْ ზოგი..., ზოგიც.
 دَالِيَا شَرِبَ مِنَ الْمَاءِ
 ტა (= პარტიც.) წყალი; مِنْ
 الدَّانِيَةِ აილო რამდენიმე დი-
 ნარი; هَذَا النَّمِيَّتُ
 (27, 7-8) რაა ეს მკვდარი
 შენი? (= რა ურთიერთობაშია
 ეს მკვდარი შენთან?); ثَوْبٌ مِنْ
 الْحَرِيرِ აბრეშუმის ტანსაცმე-

ლი; — ზმულობა, მდგომარეობა,
 უოფნა სადმე (სივრცეში) - ში,
 შორის ან ოღებზე (დროში):
 -ისას, დროს, ჟამს. مِنَ اللَّيْلِ
 ღამით; مِنَ الْعَدِ مِنْ عَدِ
 ხვალ; خَرَجَ مِنْ يَوْمِهِ
 იმავე დღეს; — განუსაზღვრელი
 სუბიექტის ან ობიექტის წინ, უარყო-
 ფით წინადადებაში, აპლიკრებს უარ-
 ყოფას: لَا فِي الدَّارِ مِنْ رَجُلٍ
 სახლში არავინაა; مِنْ شَخْصٍ
 არავინაა; — გამოყენებულია რო-
 გორც სპეციალიზაციის ექსპონენტი
 წინამავალი ზოგადი, განუსაზღვრე-
 ლი ცნებების მიმართ: სახელდობრ,
 საკუთრივ, როგორცაა, -ც-
 كَانَ رَجُلًا فَاضِلًا مِنْ رَجُلٍ
 იყო კეთილშობილი კაცი, სახელდობრ,
 კაცი, რომელიც ისწრაფოდა
 თავისი ხალხის სიყვარულისა-
 კენ; — იხმარება განუსაზღვრელ მი-
 მართებით مَا რაც ნაცვალსახელთან,
 რომელიც არ შეიძლება ნათესაობით
 ბრუნვას შეეწყოს: مَا ذَهَبَ مِنْ
 الْمَالِ რაც დაიხარჯა ქონები-
 დან = რა ქონებაც დაიხარჯა-

გამოსავალი წერტილი (ლოკალური თუ ტემპორალური მნიშვნელობით):

خَرَجَ مِنَ الْمَدِينَةِ გავიდა ქალაქიდან; سَقَطَ مِنْ يَدِهِ დაეარდა მისი ხელიდან = გაუ-

ვარდა ხელიდან; لَعِشْرَ خَلَوْنَ

(٦٤, ١٢) مِنْ شَهْرِ رَبِيعِ الْأَوَّلِ

როდესაც გავიდა ათი (ღამე) რაბიე ალ-ავევალის თვიდან = რაბიე ალ-ავევალის ათს; — მანძი-

ლი: مِنْ تَفْلِيسَ إِلَى بَرْذَعَةَ

თბილისიდან ბარდავარდზე; კონტრასტული ანალოგიის ძალით აღინიშნება არა მარტო სიშორე, არამედ

ზიანლოვეც قَرَبَ مِنْهُ დაუახლოვდა მას; دَنَا مِنْهُ შორს არ იყო მის-

გან = ახლოს იყო მისგან; განსხვავება, გარჩევა, ორი რამისა ერთმანეთისაგან. هَلْ تَعْرِفُ الْحَيْدَ مِنْ

هل تعرف الحيد من? იცი, კარგი ცუდისაგან? = არჩევ, კარგს ცუდისაგან? — იხეთი ზმნების შემდეგ, რომლებიც აღნიშნავენ დაცვას, გლარჩენასა და მისთ.: წინააღმდეგ; — შედარებით

ხარისხებთან: ვიდრე. خَيْرٌ مِنْهُ უკეთესი, ვიდრე ის = მასზე უკეთესი; — ადგილი, პუნქტი, გზა,

რომელზედაც ან რომლითაც გადიან, შედიან და სხვ. دَخَلَ مِنَ الْبَابِ

შევიდა კარიდან; — მიზნით: გამო, თვის, გულისათვის, შედეგად (იხ., მაგ. ١٣, ١٢); ვნები-

თისა და რეფლექსივის ფორმებთან გამოსატყვის რეალურ სუბიექტს:

مِيْعَرُ مِنْهُ. كَتَبَ مِنْهُ დაიწერა მის მიერ; — სხვა ნაწილაკებთან კავშირის შემთხვევები იხ. სათანადო ნაწილაკებთან.

مِنْ (უ), მასდ. مِنْ მოკრა, მოკვეცა, დაამოკლა; 3. عَلَى ნ.ით სიკეთე გამოიჩინა ვისიზე მიმართ, დაასაჩუქრა, უწყალობა; მადლი უყო ვისმე.

مِنْ წყალობა, მადლი, საჩუქარი; მანანა.

مَنْجَلِيْسٍ მანგლისი.

مَنْجِنِيْقٍ (< ანამ. < ბერძნ. μαγγινικον) მდ. სქ., მრ. مَنْجِنِيْقَاتٍ ბა-

ლისტა, კატაპულტა, ქვის სატყორცნი მანქანა, მანჯანიკი (შდრ.).

مِنْ ذُو (< مِنْ ذُو სმოვნის ასიმილაციის შედეგად) და (შემოკლებული) მდ

დროის წინდ. დაწყებული, მოყოლებული (იმ დროიდან). იხ. მარება ზმნებთან, აგრეთვე დროის

ციის შედეგად) და (შემოკლებული) მდ

აღმნიშვნელ განსაზღვრულ ან განუსაზღვრელ სუბსტანციებთან სახელობით (როდესაც წარსულ დროზეა საუბარი) ან ნათესაობით ბრუნვაში.

منذ يوم الجمعة იმის შემდეგ,

რაც პარასკევი იყო = პარასკევის შემდეგ; منذ سنة ერთი წელია (იქიდან); منذ اليوم დღეიდან (დაწყებული).

منع (ა), მასდ. ^⑤ منع დამ. დააბრკოლა, ხელი შეუშალა; უარი უთხრა; ორ. დამ. უარი უთხრა რამეზე, დაუკავა; წაართვა; აკ. და من ან عن ნ-ით დააკავა, შეაკავა რამესგან; აუკრძალა; დაიცვა რამესგან. VIII. امتنع

თავი შეიკავა من ან عن ნ-ით რამესგან; არ დაეთანხმა, უარყო; გამაგრდა, განმტკიცდა; იყო მიუვალი, მიუღწეველი. ^⑤ منع აკრძალვა; შეკავება, დაკავება. ^⑤ منع სიმაგრე, მიუვალობა; ძალა, ძლიერება. ^⑤ منع م. დ. დაკავებული, შეკავებული; აკრძალული. ^⑤ منع م. დ. მიუვალი.

امتنع მიუვალობა, მიუღწევ-

ლობა; შეკავება, დაკავება, უარყოფა.

منع V. تمنى დამ. სურდა, უნდოდა, თხოულობდა.

منى م. სურვილი, სასურველი რამ.

امن م. امن, امان განუხორციელებელი სურვილი, ოცნება, იმედი.

تمنى სურვილი.

مهل (ა), მასდ. ^⑤ مهل დამ. გააწყო, დააგო (ლოგინი).

مهل م. مهود აკვანი.

مهل م. مهة ლოგინი.

مهل (უ, ა), მასდ. ^⑤ مهارة იყო, გახდა დახელოვნებული, მოხერხებული, მარჯვე, მცოდნე ب ან في ნ-ით რისამე.

مهل م. مهور ურვათი; სასძლოსათვის მისაცემი ფული.

مهل م. مهار კვიცი.

مهل დახელოვნებული, მოხერხებული, მარჯვე. მაიმუნის საქსახ. მაპირი.

مهل (ა), მასდ. ^⑤ مهل ზოზინობდა,

არ ჩქარობდა. IV. امهل დამ. გადაუღო (ვადა), მისცა დრო, ვადა, არ აჩქარებდა.

مَهْل ზოზინი; აუჩქარებლობა;

სიმშვიდე. مَهْلًا ნელა.

مَهْلًا იხ. مَا I. 3.

مَهْنَةٌ (ა, უ), მასდ. مَهْن, მენე

ღამ. ემსახურებოდა;— مَهْن (უ),

მასდ. مَهْنَةٌ იყო სუსტი, უძლური, არარა, საზიზღარი. VIII.

مَهْنٌ გრდუვ. მსახურებდა, მოსამსახურეობას ეწეოდა; ღამ.

გრდმ. იმსახურა, მოსამსახურედ გაიხზადა.

مِهْنٌ მდ. ო სუსტი, უძლური, უღონო; არარა, საზიზღარი.

مَاهٍ მრ. مِيَاه, წყალი, წყარო;

წვიმა; ქა. مَاءُ الشَّبَابِ

სიკვამლის სინორჩე; مَاءُ السَّمَاءِ

წვიმა; مَاءُ بَنُو مَاءِ السَّمَاءِ

არაბები. مَائِي

წყლისა, წყლიანი.

مَاتٌ (უ; ვულგ. ა; მს. რ. I. 3. مات

უფრო იშვიათად مات), მასდ. مَوْتٌ

მოკვდა. IV. أَمَاتٌ ღამ. მოაკვდინა, მოკლა.

مَوْتٌ სიკვდილი, გარდაცვალება.

مَيْتٌ შემოკლებით مَيْتٌ მდ. ო, მრ. مَيِّتٌ

مَيِّتَاتٌ, مَوْتَى, مَوْتَى

მკვდარი, მომკვდარი; მოკვდავი, მომაკვდავი.

مَيْتَةٌ (არს. ხახ.) ლეში, მძოვრი, რიტუალის შეუსრულებლად მოკლული ცხოველი.

مَمَاتٌ სიკვდილი, სიკვდილის ფაში ან ადგილი.

مَاجٌ (უ), მასდ. مَوْجٌ ლელავა (ზღვა), მღელვარებდა (ხალხი);

مَوْجٌ ო ლელავდა, მღელვარებდა ვისიმე წინააღმდეგ; აუზბედრდა, აუჯანყდა.

مَوْجٌ (ვითარცა არს. ხახ.) მრ.

مَوَاجٍ ტალღა.

مَوْرِيَانٌ (<რამ.) მამ. საკ. ხახ. მავრიანი.

مَوْسَى (<არამ. <ებრ. מֹשֶׁה) მოსე.

مَوْقَانٌ მუღანი. 1) ქა-

ლაქი კაბალას მასლობლად; 2) მუღანის ველი, მხარე კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე, არდებილის ჩრდილოეთით; ამავე სახელწოდების ორი ქალაქი იქვე.

مَوْلٌ (ა), მასდ. مَوْلٌ იყო მდიდარი,

ჰყავდა ბევრი საქონელი.

مال მრ. [Ⓜ]أَمْوَالٌ ჯოგი, მსხვილ-ფეხა საქონელი (განსაკუთრებ-ბით აქლემები); ქონება, სიმ-

დიდრე. [Ⓜ]بَيْتُ الْمَالِ ხაზინა,

ბაითულ-მალი (შდრ.): [Ⓜ]ذُو أَمْوَالٍ მდიდარი.

مال (ჟ, ა), მასდ. [Ⓜ]مَوْ იყო წყალ-

მრავალი. II. [Ⓜ]مَوَّ მოაეარაყა, ოქროთი დაფერა.

مِيفَارَقِينَ ან مِيفَارَقِينَ

ქალ. მიაფარაიკინი (სირ. Mipharet ბერძნ. მარტიროპოლისი, სომხ. Միփქերა) ტიგროსის ერთ-ერთი მარცხენა შენაკადის, ბაქმან-სუს შესართავზე, ფარკინ-სუსზე, მუსსა და ამილის (ღიარბაქრის) შორის, ღიარ-ბაქრის ჩრდილო-აღმოსავლეთით 70 კილომეტრის მანძილზე; მიმართ.

ابْنُ الْأَزْرَقِ الْفَارِقِيُّ. [Ⓜ]فَارِقِيُّ

იბნ ალ-აზრაყ ალ-ფარაიკი, ის-ტორიკოსი, ავტორი მიაფარაიკინის ისტორიისა (წერდა 572/1176 წ. ასლო ხანებში).

مِيفَانِ მიფანა, მაფანიჯი, ქალ.

აზერბაიჯანში, მდ. გაზ-არუდის ხა-ნახებში.

مِيفَانِ მრ. [Ⓜ]مِيفَانِ მოედანი, ას-

პარეზი — [Ⓜ]بَابُ الْمِيفَانِ თბი-ლისის ერთ-ერთი კარის სახელი.

مِيفِرَالِ [Ⓜ]مِيفِرَالِ (ქართ.) საკუთრივ

და შემდეგ [Ⓜ]ال-ნ-ის დართვისას,

ალიფის დაარგვით [Ⓜ]الْعِيرَالِ კრებ-იმერლები. [Ⓜ]الْمِيرَالِ (87, 14;

87, 14) მრ. რიცხვის თურქული წარ-მოება იმერლები.

مَاز (ი), მასდ. [Ⓜ]مَاز. გამოჰყო, გა-

მოარჩია [Ⓜ]عنه მისგან. II. [Ⓜ]مَاز. გამოარჩია; გამოჰყო.

مَاز [Ⓜ]تَمَيَّيز გარჩევა; გრამ. ტერმ. სპე-ციფიკაცია.

مَاز (ი), მასდ. [Ⓜ]مَاز. გარღეფ. გა-

შორდა, დაშორდა, მოშორდა; დამ. გრამ. განაშორა, დააშორა,

მოიშორა. IV. [Ⓜ]مَاز. მოაშორა, განაშორა, დააშორა [Ⓜ]عنه მას-

مَاز (ი), მასდ. [Ⓜ]مَاز. მიიხარა [Ⓜ]إليه მისკენ, [Ⓜ]عنه მოიხარა მისგან.

مَاز. მიხარა, მოხრა, გადახრა.

مِيفَالِ (<არამ. [Ⓜ]مِيفَالِ (< ბერძნ.

μῆλιον < ლათ. milia) მრ. [Ⓜ]أَمْوَالٌ მილი, მანძილის მაჩვენებელი სვეტი; სიგრძის ერთეული, რომე-ლიც უდრიდა 1000 წერთან 1917, 60 მ-ს.

مِيفَالِ (< ბერძნ. [Ⓜ]μῆλιη) ვერცხ-

ლის მილი ან თანქარი (რომლითაც

Ⓜ ისვამენ [Ⓜ]كُحْل-ს, სურმას); ზონდი-მ მ ასოს სახელწოდება.

ن

نون არაბული აზნანის ოცდამესუთ ნ
 ასო. სათვალავში აღნიშნავს 50-ს.
 نَا შრ. რ. I. პ. ნაცვალსახელოვანი
 ნაწილაკი ნათესაობით ბრუნვაში სა-
 (ხელებთან) ან აკუსატივეში (ზმნებ-
 თან) ჩვენი, ჩვენ. كِتَابِنَا ჩვენი
 წიგნი; خَلَقْنَا შეგვქმნა ჩვენ.

نَارِمَان ნარიმანი, ნარუმაკი, ქალ.
 საშხრეთ საქართველოში, ოღთისის
 საშხრეთ-დასავლეთით.

انس. ان. ناس.

نَوَاقِيس ძელი, შრ. نَوَاقِيس (<სირ.)
 რომლითაც რეკდნენ ძველად
 ეკლესიებში ზარის ნაცვლად.

نَامُوس შრ. ناموس (<არამ. <ბერძნ. γάμος-ის გა-
 უგებრობაზე აღმოცენებული მნიშვნე-
 ლობა; არ უნდა აგურიით ამ.სიტყვაში
 მეორე ناموس, რომელიც არის წმინ-
 და არაბული წარმოშობის. ان. نَامُوس)

نَوَامِيس შრ. نَوَامِيس კანონი. (შრ. ქართ.
 ნამუსი); النَامُوسُ الْأَكْبَرُ
 გაბრიელ შთაფარანგელოსი.

نَاي შრ. نَاي (<მხლ. نَاي იყო შორს, იყო
 დაშორებული, მოშორებული.

نَاي შრ. نَاي (<მხლ. نَاي იყო შა-
 დალი, ამაღლებული. II. نَاي

ორ. აკ. ან პ. აკ. და ნ. პ ნ-ით
 აცნობა, შეატყობინა, გააგებინ-
 ნა. IV. نَاي შრ. აკ. ან პ. აკ. და ნ.
 ب ნ-ით, იგივე, რაც II. نَاي.
 V. نَاي წინასწარ-
 მეტყველად გამოაცხადა თავი,
 წინასწარმეტყველობდა.

نَاي შრ. نَاي ცნობა, ამბავი-
 نَاي (<არამ. نَاي <ებრ. נַאִי.

ნაწილობრივ არაბული نَاი ძირის
 გავლენით განვითარებული მნიშვნე-
 ლობა) შრ. نَاي و نَاي
 წინასწარმეტყველი.

نَاي შრ. نَاي (<არამ. نَاი, نَاი
 <ებრ. נַאִי) წინასწარმეტყვე-
 ლება.

نَاي შრ. نَاي, نَاი აღმო-
 ცენდა, ამოვიდა (მცენარე).

نَاი შრ. نَاი აღმოცენება, ამოსვლა
 (მცენარისა).

نَاي შრ. نَاი (ვითარცა არს. ხას.) კრებ., შრ.
 نَاي მცენარეები.

نَاي შრ. نَاي, نَاي, نَاი
 ცეფდა (ძაღლი).

⑥ نَبَح ყეფა (ძალისა).
 ⑥ نَبَذَ (ი), მასდ. نَبَذَ ღამ. გადაადგო;
 დატოვა, მიატოვა, უარყო.
 ⑥ نَبَذَ მრ. نَبَذَ ნარჩევი, ნაწყვე-
 ტი; პატარა მოთხრობა, სტა-
 ტია.
 ⑥ نَبَرَّ (ი), მასდ. نَبَرَّ ღამ. აუმაღლა
 (ხმას); მახვილი დაუსვა (სიტ-
 ყვას).
 ⑥ نَبَّرَ მრ. نَبَّرَ კათედრა.
 ⑥ نَبَعَ (უ, ა, ი), მასდ. نَبَعَ მომდინა-
 რეობდა (წყარო).
 ⑥ نَبَّوعَ მრ. نَبَّوعَ წყარო.
 ⑥ نَبَلَّ (უ), მასდ. نَبَلَّ ღამ. ისროდა
 (ისარს).
 ⑥ نَبَالَ მრ. نَبَالَ ისრები.
 ⑥ نَبِهَ (ა), მასდ. نَبِهَ გამოფხიზლდა,
 გამოიღვიძა; — نَبِهَ (უ), მასდ.
 ⑥ نَبَاهَةٌ იყო ცნობილი, გამოჩენი-
 ლი, სახელოვანი; განათლებული.
 ⑥ نَبَاهَةٌ მრ. نَبَاهَةٌ ცნობილი, გა-
 მოჩენილი, სახელოვანი; განათ-
 ლეული.
 ⑥ نَبَأَ (ი), მასდ. نَبَأَ ღამ. გრდმ.
 შვა, შობა; 2) გრდუვ. გამო-
 მდინარეობდა, გამოდიოდა.

⑥ نَتَّيْجَةٌ მრ. نَتَّيْجَةٌ 1) შვილი;
 2) დასკვნა; შედეგი, რეზულ-
 ტატი.
 ⑥ نَثَرَ (უ, ი), მასდ. نَثَرَ ღამ. გაფან-
 ტა, გააბნია. انظّم. VI. نَثَرَ
 გაიფანტა, გაიბნა; ჩამოცვივდა.
 ⑥ نَجَحَ (ა), მასდ. نَجَحَ იყო
 წარმატების მქონე (საქმე).
 ⑥ نَجَّحَ წარმატება.
 ⑥ نَجَّحَ წარმატების მქონე.
 ⑥ نَجَدَ (ა), მასდ. نَجَدَ გაოფლიან-
 და; — نَجَدَ (უ), მასდ. نَجَادَ,
 ⑥ نَجْدَةٌ იყო მამაცი, გულადი,
 თამამი; — نَجْدَ (უ), მასდ. نَجْدَ
 ღამ. გრდმ. დაეხმარა, მოეხმარა;
 ვნებ. გაოფლიანდა. X. اسْتَنْجَدَ
 აკ. ან ბ ნ-ით სთხოვა დახმარე-
 ბა عَلَيْهِ მის წინააღმდეგ.
 ⑥ نَجَدَ მრ. نَجَادَ ამადლებუ-
 ლი ადგილი, პლატო; ნეჯდი,
 საკ. სას. არაბეთის ნახევარკუნძუ-
 ლის პლატოსი. მიმართ. نَجْدِي.
 ⑥ نَجْدٌ დალლა, დაქანცვა; გა-
 კირვება.
 ⑥ نَجْدٌ მამაცი, გულადი, თამამი.

نَجْدَةٌ 1) გაჭირვება; 2) სიმა-
მაყვე, გულადობა, სითამამე.

أَهْلُ النَّجْدَةِ მამაცი, გუ-
ლადნი.

إِسْتِنَجَادٌ დახმარების თხოვნა.

نَجْرٌ (უ, ი), მასღ. ღამ. თლი-
და, ამუშავებდა (ხეს).

نَجَّارٌ (არამ. ܢܓܪܐ) ღურგალი.

نَجَزٌ (ა), მასღ. იყო და-
სრულებული; დამთავრებული

(საქმე); დამთავრდა; نَجَزَ (უ),

მასღ. ღამ. დაამთავრა, დაა-
სრულა, დააბოლოვა (საქმე).

III. نَجَزَ ღამ. შეებრძოლა.

IV. أَنْجَزَ ნ. აკ. შეასრულა,
დაასრულა (დაპირება და მისთ.).

X. اسْتَنْجَزَ ნ. ით და ნ.
აკ. ით სთხოვა შესრულება, დას-
რულება (დაპირებისა და მისთ.).

نَجَسٌ (ა), მასღ. نَجَسَ (უ), მასღ. იყო გასერი-
ლი, წაბილწული, წარყვნილი.

نَجَسٌ მრ. نَجَسٌ სიბინძურე,
სიბილწე.

نَجِسٌ მდ. ბინძური, ბილწი.

نَجْمٌ (უ), მასღ. نجوم გამოჩნდა,

გამომქლავდა. II. نَجَّمَ ვარს-
კვლავებს სწავლობდა, აკვირ-
დებოდა, რომ გამოეცნო მო-
მავალი.

نَجْمٌ მრ. نَجْمٌ, نجوم ვარს-
კვლავი; نَجْمٌ الدِّينِ საპატიო-

სახ. ნეჯმ ედ-ღინი.

نَجْمٌ ვარსკვლავთმრიცხველი,
ასტროლოგი, ასტრონომი.

نَجَا (უ), მასღ. نَجَا მირბოდა,

გარბოდა, იელტოდა; მასღ. نَجَوْ,

نَجَا გაქცევით გადარჩა, განთა-

ვისუფლდა منه მისგან. II. نَجَى
ღამ. გადაარჩინა, იხსნა, გაა-

თავისუფლა منه მისგან.
نَجَا გაქცევა, გაქცევით თავის-
ხსნა; ხსნა, გადარჩენა.

نَجَا გაქცევით გადარჩენა, თა-
ვის ხსნა.

نَجَبٌ (ა, ი), მასღ. نَجَبٌ ქვითინებდა, მოთქვამდა, ტი-
როდა.

نَجَبٌ 1) ქვითინი, ტირილი, მო-
თქმა; 2) პერიოდი, ეპი; აღ-

თქმა; აღსასრული. نَجَبَى
შეასრულა თავისი აღთქმა, ე. ი.
მოიკლა სარწმუნოებისათვის.

نَحْر (ა), მასლ. نَحْر ღამ. ყელი
გამოსკრა ცხოველს (განსაკუთ-
რებით აქლემს), დაკლა.

نَحْر მრ. نُحُور ყელი, მკერ-
დის ზედა ნაწილი.

نَحْس (ა), მასლ. نَحْس ღამ. ნაჩს

(უ), მასლ. نَحْأة იყო უბედური.

نَحْس მრ. نَحُوس უბედურება.

نَحْأة სპილენძი.

نَحْف (უ), მასლ. نَحْأة იყო გამ-
ხდარი.

نَحِيف გამხდარი.

نَحْل კრებ., კერძ. ო ფუტკარი.

نَحْر მრ. რ. I. პ. ნაცვალსახელი
ჩვენ.

نَح (უ), მასლ. نَحْو გრდუვ. გაემარ-

თა; გრდმ., ღამ. გადადო. V. تَنَحَّى
გადაუხვია, მოშორდა منه მას.

نَحْو 1) მიმართულება; გზა,
მხარე; სახეობა, გვარი, მოდე-
ლი; ნათ. ზრუნვასთან შესაფერი,

მსგავსი; ვითარცა. نَحْو (ისეთ
შეშთხვევებში, როგორც ۴۴, ۲) დაა-
ხლოებით; من ნით დაახლოე-
ბით ისეთივე; დაახლოებით, რო-

გორც; نَحْو წინდ. კენ, მიმარ-

თულებით. نَحْو მისკენ, მისი
მიმართულებით; 2) გრამ. ტერმ.
სინტაქსი; გრამატიკა. მიმართ.

نَحْوِي გრამატიკოსი, ფილო-
ლოგი.

نَحْ مრ. نَحْأة გრამატიკოსი, ფი-
ლოლოგი.

نَحْأة მრ. نَوَاحْ მიმართულება,
მხარე; კიდე; მიდამო; საწახეობი.

نَخْب (უ), მასლ. نَخْب ამოიღო,

ამოარჩია. VIII. اِنْتَخَبَ ღამ.
ამოარჩია, აირჩია.

نَخْبَة მრ. نَخْب რჩეული ნაწი-
ლი; ამორჩეული, ნარჩევი.

نَخْل კრებ., კერძ. ო პალმა, დანა-
კის კული, phoenix dactylifera L.

نَخَا (უ), მასლ. نَخْوე ამაყობდა,
მედიდურობდა.

نَخْوე 1) სიამაყე; 2) სიმამაცე,
ვაჟკაცობა.

نَدَب (უ), მასლ. نَدَب 1) აკ. დას-
ტიროდა, მოსთქვამდა, ჩამოთ-
ვლიდა ვისიმე (მიცვალებულის)
თვისებებს ტირილის დროს;

2) აკ. لا إِلَى ნით გაიწვია სად-
მე, ვინმესთან; გაგზავნა. نَدَب

(ა), მასლ. نَدَب მოშუშდა (ქრი-
ლობა). VIII. اِنْتَدَبَ إِلَى ნით

წარუდგა; مع ნით შეუერთდა
ვისიმე (ჯარის ნაწილები).

ნძრ შრ. نَدْوَب კრილობა.

ნძრ მთქმა; ტირილი.

ნძრ (უ), მასღ. نَدْر 1) ამოვარდა, გადმოვარდა (ბუდიდან თვალი); იყო ნალრძობი (ძვალი); 2) იყო არაჩვეულებრივი.

ნძრ ღა نَادِر იშვიათი, არაჩვეულებრივი.

ნძრ შრ. نَوَادِر (საკუთრი იშვიათობა) ანეკდოტი, სახუმარო ამბავი.

ნძრ (ა), მასღ. نَدَم, نَدَامَة შეინანა

ნანა على ნით რამე.

ნძრ სინანული.

ნძრ შღ. نَدِيم შრ. نَدِيم თანამეიხანე, ამხანაგი ქეთფში, ლხინში (შღრ. ქართ. ნადიმი); النَدِيم ნადიმი, შამ. მეცსახელი.

ნძრ (უ), მასღ. نَدْو 3. ავ. მოუწოდა, დაუძახა; — نَدَى (ა), მასღ.

ნძრ იყო სველი, ნამიანი, წვნიანი. III. نَادَى ახსოლ. იძახდა; წამოიძახა; 3. ავ. ან ბ ნით მოუწოდა, დაუძახა.

ნძრ სისველე; ცვარი, ნამი, წვიმა.

ნძრ მოწოდება, დაძახება, ძახილი.

ნძრ კრება, კრებული ხალხისა.

ნძრ შრ. نَدِيَة კრების, შეკრების ადგილი, კრებული (შღრ. ქართ. ნადი).

ნძრ (ი, უ), მასღ. نَذْر ღამ. აღთქმა დადო, საეაღლებულოდ განიხადა; ორ. ღამ. შეჰპირდა რასმე.

ნძრ ალთქმა დადო, რომ სისხლს აიღებდა; نَذِر (ა), მასღ.

ნძრ იყო გაფრთხილებული ბ ნით რამეში; ერიდებოდა. IV. أَنْذَرَ ორ. ავ. ან ავ. ღა ბ ნით გააფრთხილა რამეში.

ნძრ შრ. نَذُور პირობა, აღთქმა. ნძრ გაფრთხილება, დარიგება.

ნძრ შრ. نَذِير გამაფრთხილებელი, დამრიგებელი.

ნძრ გამაფრთხილებელი; მუნჯირი. შამ. სავ. სახ.

ნძრ (უ), მასღ. نَزْر იყო მცირე, მცირერიცხოვანი.

ნძრ მცირე, მცირერიცხოვანი.

ნძრ (ი), მასღ. نَزَع ღამ. 1) ამოგლიჯა, მოგლიჯა; აღმოფხვრა; ამოაძრო, მოაძრო; 2) წაართვა; 3) გადა-

აგდო; 4) გადააყენა (თანამდებობიდან); 5) დაქიმა (შშვილდი).

III. نَزَلَ. ცდილობდა გამოეგლიჯა, წაერთმია; ეჩხუბებოდა.

VI. تَنَزَّعُوا. ცდილობდნენ ერთმანეთისთვის წაერთმიათ, გამოეგლიჯათ; დაობდნენ ერთმანეთთან فِيهِ მის გამო.

نَزَعَ. მოხსნა, ამოგლეჯა, მოგლეჯა, აღმოფხვრა.

نَزَعَ ჩხუბი.

نَزَلَ (ი), მასღ. نَزَلَ ჩამოვიდა,

დაეშვა. انْصَدَّ. صَعِدَ ჩამოხტა (გემიდან, ცხენიდან და მისთ.); გარდამოხდა, გარდამოვლენილიქნა (მაგ. ყურანი ან მისი ნაწილები); გაჩერდა, დასახლდა აკ. ან ნ-ით ვინმესთან ან სადმე; აკ. ან عَلَى ნ-ით მივიდა, ჩავიდა, გაჩერდა, დაბანაკდა სადმე; عَنْ ნ-ით გაშორდა (ცოლს); ب ნ-ით გრძმ. ჩამოიყვანა.

II. نَزَلَ. ჩამოიყვანა; ჩამოახტუნა; მოავლინა; عَلَى ნ-ით

მოუვლინა, აცნობა. IV. أَنْزَلَ. ჩამოიყვანა, ჩამოახტუნა; დაა-

ბანაკა. V. تَنَزَّلَ. ნელნელა დაეშვა; ნელნელა ჩამოვიდა.

X. اسْتَنْزَلَ. სთხოვა ჩამოსულ-

იყო; აიძულა დანებებულიყო. (აღყაშემორტყმული).

نَزَلَ. نَزَلَ. ვინც ძირს.

ჩამოდის; ვინც ჩერდება, ვინც ბანაკდება; ჩამომხტარი, გაჩერებული, დაბანაკებული.

نَزَلَ. نَوَّازِلُ. შემთხვევა, უბედურება.

نَزَلَ. مَنْزِلٌ. ადგილი ჩამოსვლისა, გაჩერებისა, სადგური; ადგილი, ადგილსამყოფელი; სადგომი, ბინა, სახლი (შერქართ. მანძილი).

نَزَلَ. مَنْزِلٌ. მდგომარეობა, ხარისხი, რანგი, ღირსება; მნიშვნელობა.

نَزَاهَةٌ (ა), და نَزَاهَةٌ (უ), მასღ. იყო წმინდა; იყო ჯანსაღი, სასარგებლო (კლიმატი).

نَزَاهَةٌ. نَزَاهَةٌ. ჯანმრთელი, სასიამოვნო (ადგილი). نَزَاهَةٌ. نَزَاهَةٌ. სიჯანსაღე; სიამოვნება, შეება, ლხენა.

نَزَاهَةٌ. نَزَاهَةٌ. და إِلَى

ნ-ით მიიჩნია რამესთან გარკვეულ მიმართებაში მყოფად; ჩათვალა, მიაწერა, დაუკავშირა, მიაკუთვნა, უწოდა ب ნ-ით რი-

სამე მიხედვით. III. نَسَبَ. აკ-

წარმოდგებოდა ვინმესთან ერთად ერთი გვარისგან; შეეფერებოდა, შეესატყვისებოდა.

VIII. انتسبَ აკუთვნებდა თავის გვარს, თავის შთამომავლობას إليه მას; ل -ით დაუსახელა თავისი გვარი, წარმოშობა.

نَسَبَ მრ. أَنْسَابٌ მიმართება; წარმოშობა, გენეალოგია, ნათესაობა, გვარი; კავშირი; მრ. ذُو أَنْسَابٍ (ნაცვლად أَنْسَابٍ -ისა) ნათესაეები.

نَسَبَ მრ. مِيسَابٌ მიმართება; ნათესაობა, წარმოშობა; ნისბა (სადაურობის აღმნიშვნელი სახელი).

نَسِبَ ქება (ქალისა, ლექსში); მრ. أَنْسَابٌ ნათესავი, თვისტომი; კარგი გვარისა, გვარიანი, გვარისშვილი

نَسَجَ (უ, ი), მასდ. نَسَجَ ქსოვდა.

نَسَجَ ქსოვა.
مَنْسُوجٌ მოქსოვილი.

نَسَخَ (არამ. נסח) მრ. نَسَخٌ გადმონაწერი, კოპიო, ეკზემპლარი ხელნაწერისა, ნუსხა (შდრ.).

نَسَّرَ მრ. نَسَّرَ არწივი.
نَسَّكَ (უ), მასდ. نَسَّكَ, نَسَّكَ, مَسَّكَ

იყო მორწმუნე, კეთილმსახური, ღვთისმოსავი.

نَسَّكَ მსხვერპლი.

نَسَّكَ მრ. نَسَّكَ მორწმუნე, კეთილმსახური. ღვთის მოსავი.

نَسَّكَ მრ. مَنَاسِكٌ სარწმუნოებრივი ცერემონიები (განსაკუთრებით მექაში მოგზაურობის დროს).

نَسَّلَ (უ), მასდ. نَسَّلَ დამ. წარმოშვა.

نَسَّلَ წარმოშობა, გვარი.

نَسَّمَ (ი), მასდ. نَسَّمَ, نَسِيمٌ ქროდა (სიო).

نَسَّمَ ქროლვა (სიოსი), სუნთქვა.
نَسَّمَ მრ. نَسَمَاتٌ სუნთქვა; სული (აღამიანი).

نَسِيمٌ სიო.

نَسُوَةٌ (pl. tant.) ქალები.

نَسَّوَانٌ დ. نَسَّوَانٌ იგვევა, რაც نَسُوَةٌ.

نَسَّى (ა), მასდ. نَسَّى, نَسِيَانٌ დამ. დაივიწყა; დაავიწყდა. II. نَسَّى = IV. نَسَّى. დამ. დაავიწყა.

نَشَأَ (ა), მასდ. نَشَأَ, نَشَأٌ აიწია, აღიმართა, ამიღლდა; გაიზარდა.

IV. ^ءأَنشَأَ (ამ. 1) გაზარდა; აღმართა, ასწია, აამაღლა; 2) შექმნა; შეთხზა (ლიტერატურული ნაწარმოები და მისთ.).

^ءنَشَأَ 1) აღმოცენება; 2) შექმნა, შეთხზვა; ქმნილება; თხზულება.

^ءأَنْشَأَ 1) აღმოცენება; 2) შექმნა, შეთხზვა; ქმნილება; თხზულება; სპეც. ტერმ. ეპისტოლოგრაფია.

^ءمُنشَى 1) აღმომცენებელი; 2) შემქმნელი, შემთხვევლი; სპეც. ტერ. სამდივანმწიფნობროს მოხელე, რომელსაც ევალება ოფიციალური დოკუმენტების შედგენა, მდივანი, მწერალი.

^ءنَشَبَ ^ءكُرْب. ისრები. სინ. ^ءسَبَأ.

^ءنَشَبَ მშვილდოსანი.

^ءنَشَدَ (უ), მასდ. ^ءنَشَدَ (ამ. 1) ეძებდა, იძიებდა; ეკითხებოდა; მიისწრაფოდა; 2) მღეროდა; 3) ორ. ამ. აფიცებდა (ღმერთს).

IV. ^ءأَنشَدَ (ამ. მღეროდა, ამბობდა დეკლამაციით.

^ءأَنشَدَ ^ءمَر. ^ءأَنشَدَ სიმღერა.

^ءأَنشَدَ დეკლამაცია.

^ءنَشَرَ (უ), მასდ. ^ءنَشَرَ გახსნა, გაშალა; გაავრცელა; გამოაქვეყნა;

^ءنَشَرَ მასდ. ^ءنَشَرَ მკვდრეთით აღადგინა, გააცოცხლა.

^ءنَشَرَ გახსნა, გაშლა; გაავრცელა; გამოქვეყნება.

^ءنَشَرَ მკვდრეთით აღდგენა, გააცოცხლება.

^ءنَشِطَ (ა), მასდ. ^ءنَشِطَ იყო ცოც-

ხალი, სიცოცხლით სავსე, ენერგიული, აქტიური.

^ءنَشِطَ სიცოცხლე, სიმკვირცხლე, კარგი გუნება, მზიარულება; აქტიურობა, ენერგია (შდრ. ქართ. ნი შ ა ტ ი).

^ءنَشَى (ა), მასდ. ^ءنَشَى იყო მთვრალი; დათვრა.

^ءالتَّشْوَى ქალ. 'ნახჩევანი.

^ءنَصَبَ (უ), მასდ. ^ءنَصَبَ (ამ. 1) აღმართა; გაასწორა; 2) დანიშნა

(მმართველად); 3) ^ءالْحَرْبَ სიტყვასთან აკ. და კ ნ-ით ომი დაუწყო; 4) ამ. შეაწუხა, დატანჯა;

^ءنَصَبَ (ა), მასდ. ^ءنَصَبَ; დაიქანცა, დაიღალა.

^ءنَصَبَ (1) აღმართვა, გასწორება; 2) გრამ. ტერ. ნასბში ანუ აკუზატივში დასმა სახელისა ან კავშირებით კილოში — ზმნისა.

^ءنَصَبَ დაქანცვა, დაღლა; ჯაფა,

შრომა. მრ. [§] 1) اَنْصَابُ ავად-
მყოფობა, სენი, ტკივილი; 2) აღ-
მართული ქვა; ძეგლი; კერპი.
[§] მრ. اَنْصَابٌ ნაწილი, წი-
ლი, ხვედრი.

[§] اَنْصَتَ = IV. نَصَتْ (ი), მასდ. نَصَتْ
لِ اَنْ ل ნით ჩუმად უგდებდა
ყურს; უსმენდა.

[§] نَصَّحَ (ა). მასდ. نَصَّحَ
نُصِيْحَةً იყო გულ-
წრფელი; — მასდ. نَصَّحَ

ل ნით მისცა გულწრფელი და-
რიგება, კეთილი რჩევა. III.

[§] نَصَحَ დამ. გამოიჩინა გულ-
წრფელობა ვისიმე მიმართ, კე-
თილად მოეპყრა, მისცა კეთი-
ლი რჩევა, დარიგება.

[§] نَصَحَ გულწრფელობა, კეთილი
რჩევა, დარიგება.

[§] مَر. نَصِيْحَةٌ გულწრფე-
ლობა, კეთილგანწყობილება,
კეთილი რჩევა, კეთილი დარი-
გება.

[§] مَر. نَصِيْحَةٌ გულწრფელობა, კე-
თილად მოპყრობა, კეთილი რჩე-
ვა, დარიგება.

[§] نَصَّرَ (უ), მასდ. نَصَّرَ დამ. დაეხ-
მარა, اَعْلَى ნით ვისიმე წინააღ-
მდეგ, გამარჯვება მოაპოვები-
ნა ვინმეზე, გაამარჯვებინა; ვნებ.

نَصَّرَ იყო გამარჯვებული, ძლე-
ვამოსილი. V. تَنَصَّرَ გაქრის-
ტიანდა. VI. تَنَاصَرُوا ერთმანეთს
ეხმარებოდნენ. VIII. اِنْتَصَرَ

გამარჯვება اَعْلَى ნით ვინმეზე;
პ. ნ-ით გაიხადა ვინმე დამცევე-
ლად, მთარეველად اَعْلَى ნით
ვისიმე წინააღმდეგ; مَن ნით
გადაურჩა რასმე; პ. ل ნით
იცავდა, ემხრობოდა. X. اِسْتَنْصَرَ

დამ. სთხოვა დახმარება.
[§] نَصَّرَ დახმარება (ომში); გა-
მარჯვება.

[§] نَصَّرَانِي (სირიულის გავლენით ნა-
წარმოები სიტყვა) მდ. ო. მრ. نَصَّارِي
ქრისტიანი (საკუთრივ ნაზარე-
ველი).

[§] مَر. اَنْصَارٌ დამ-
ხმარე, მომხმარე. გამარჯვების
მონაპოვებელი; اَلْاَنْصَارُ (საკუთ-
რივ اَنْصَارُ النَّبِيِّ) ანსარები,

მეღინის მცხოვრებლები, რომლებიც
მიემხრნენ მუჰამადს. შემდეგში სი-
ტყვა გადატანილ იქნა მათ შოამომა-
ვლობაზე და იქცა ერთგვარად ტომის
აღმნიშვნელ ტერმინად; ნასირი, მამ.
اَنْصَارِي. საკ. სას.; მს. და მიმართ.

منصور გამარჯვებული, ძღვევა-
მოსილი; მანსური, შამ. საკ.

منصور; ابوالجعفر აბასიანთ მეორე
ხალიფის აბუ ჯაფარის (136/754--158/775).

მეტსახელი (136/754--158/775).

منتصر ვინც იმარჯვებს; ვინც
ენბრობა ვისმე; ვინც იყენებს
ვისმე ვისიმე წინააღმდეგ ვითარ-
ცა მფარველს; შურის მა-
ძიებელი; მუნთასირი, შამ. საკ.

منتصر بالله აბასიანთ
ხალიფა (გარდ. 248/862 წ.).

نصف (უ), მასდ. ნაჲფ დამ. გაა-
კეთა რისამე ნახევარი, მიაღ-
წია ნახევარს; გაყო შუაზე.

III. ناصف ორ. აკ. თანაბარ ნა-
წილებად გაიყო ვინმესთან ერ-

თად. IV. أنصف იქცეოდა
სამართლიანად. მიუდგომლად.

VIII. انتصف განახევრდა; اتصف
النهار (الليل) განახევრდა
დღე (ღამე), მიაღწია შუამდე,
დადგა შუადღე (შუალამე).

نصف შრ. انصاف ნახევარი;
შუა (ნაწილი).

نصل, انصل, نصال შრ. نصول

წვეტი მახვილისა, ისრისა და
მისთ.

منصل შრ. مناصل მახვილი.

نواصي შრ. نواصين კულუღი, კავი,
ქოჩორი შუბლზე. نواصي الناس
ტომის პირველი კაცები, მეთა-
ურები.

نضج (ი, ა), მასდ. نضج დამ. მო-
რწყა ბ ნ-ით რამეთი; გად-
მოღვარა აკ. ან. ბ ნ-ით რამე-

نضج (ა, ი), მასდ. نضج დამ. რწყაე-
და; მორწყა, დაასველა.

نضد (ი), მასდ. نضد დამ. ერთ-
მანეთზე დააწყო, დააღაგა, შე-
აწყო.

نطح (ი, ა), მასდ. نطح ერჩოდა,
ურქენდა (განსაკუთრებით ყოჩი)-

نطح, نطع (< არამ. نطع) შრ.

انطاع ტყავის საფენი, ნატი-
შრ. نطفة შრ. نطفة თესლი, სპერმა.

نطق (ი), მასდ. نطق
პარაკობდა; ნ. ბ ნ-ით ამბობ-
და რასმე, წარმოსთქვამდა.

انطق დამ. ალაპარაკებდა.
نطق ლაპარაკი, მეტყველება,
ენა.

نظر (უ), მასდ. نظر. الى ان

ნით უყურებდა, შეხედა, ხედავ-
და; აკ. დაინახა, ნახა, იხილა;

განიხილა; ელოდა. III. نَظَرَ
3. აკ. ედავებოდა, ეკამათებოდა

მის შესახებ. IV. أَنْظَرَ
დამ. ვადა გადაუდო, ვადა მის-

ცა. VIII. اِنْتَظَرَ დამ. ელოდა,
მოელოდა.

نَظَرَ შეხედვა; შეხედულება;
მოსაზრება; შესაძლებლობა.

نَظِيرٌ შდ. 3, შრ. نَظِيرًا, შდ.

نَظَائِرٌ მსგავსი, ისეთი რამ, რა-
საც შეიძლება შეადარონ რამე.

نَظِيرٌ შეხედულება, გარეგნობა;

مَنَظِيرٌ ადგილი, რომელიც

ჩანს; ადგილი, საიდანაც იუყრე-
ბიან.

نَظِيرٌ შდ. 3, შრ. نَظَائِرٌ მაკჟერა-
ლი; თვალყურის მადევნებელი;
მმართველი, გამგე, მინისტრი
(შდრ. ქართ. ნ ა ზ ი რ ი).

نَظْمٌ (ი), მასდ. نَظْمٌ დამ. 1) აკინ-
და, ააცვა (მძივი ძაფზე); 2) პო-
ეტურ ფორმაში ჩამოაყალიბა,
შეთხზა (ლექსი).

نَظْمٌ 1) აკინძვა, აცმა; 2) პოე-
ზია.

نَظْمٌ წესი, წყობილება, სისტე-
მა; ორგანიზაცია.

نَعْتٌ (ა), მასდ. نَعْتٌ დამ. აღწერა,
დაახასიათა.

نَعْتٌ შრ. نَعْتٌ აღწერა, ქება,
ეპითეტი; გრამ. ტერმ. კვალიფი-
კატივი, ატრიბუტი.

نَعْتَةٌ შრ. نَعَاتٌ ცხვარი.

نَعْسٌ (ა), მასდ. نَعْسٌ თვლემდა.

نَعَسٌ თვლემა.

نَعْسٌ ბალდახინი (მიცვალე-
ბულისა).

نَعْلٌ შდ., შრ. نَعَالٌ წალები, სან-
დალი, ფეხსაცმელი (შდრ. ქართ.
ნ ა ლ ი).

نَعْمٌ (ა) და نَعَمٌ (უ, ა), მასდ.

نَعْمَةٌ ცხოვრობდა განცხრო-

მით, იყო კეთილდღეობაში; აგ-

რეჟე نَعْمَةٌ (უ), მასდ. نَعْمَةٌ

იყო რბილი, ნაზი; نَعْمٌ (< نَعِمٌ)

იყო კარგი, მშვენიერი. ანტნ.

نَعْسٌ ადვერსატიულად (მოშდევნო

განსაზღვრული სახელით სახელობით

ბრუნვაში ან განსაზღვრულით —
აეუზატივში): نَعْمَ الرَّجُلُ زَيْدٌ ან

კარგი კა. نِعْمَ رَجُلًا زَيْدٌ

ცია ზეიდი! IV. نِعْمَ أَج. ან ნ. ზ. და ბ. نِعْمَ عَلَى-სი აჩუქა, უწყალობა, მიმადლა, მადლი მი-

აგო; 3. نِعْمَ-სი გამოიჩინა ვინმეს მიმართ სიკეთე.

ნაწ. (საკუთრივ კარგია) დიახ, კი, კარგი.

კრებ., მრ. نِعْمَ سَاجِدِينَ.. (ცხვრები, აქლემები, ხარები, ძროხები).

ნაწ. نِعْمَ نِعْمًا, მადლი; კეთილდღეობა; ბედნიერება; სიმდიდრე.

კრებ., კრბ. ნ. სირაქლემა.

კეთილდღეობა, განცხრომა, ბედნიერება.

ნაწ. نِعْمَ (უ, ი), მასღ. მღეროდა..

მელოდია, სიმღერა.

ნაწ. نِعْمٌ (უ, ი), მასღ. დამ. აფუროთხებდა, ნერწყვის ისროდა..

ნაწ. نَفَحَ (ა), მასღ. გრღუვ. ავრცელებდა კარგ სუნს, სუნელცხ.ს; ბერავდა (სიო)-

სიო. نَفَحَ

ნაწ. نَفَخَ (უ), მასღ. დამ. ბერავდა, გაბერა; فِي-სი ჩაბერა..

ბერავდა სა- نَفَخَ فِي الصُّورِ

ყვირში, საყვირს აყვირებდა.

ბერვა; გაბერვა. نَفَخَ

ჩაბერვა; ხმა (საყვირისა). نَفَخَ

ნაწ. نَفَذَ (უ), მასღ. نَفَّذَ, نَفَذَ (I) გაატანა, გამკოლ გავიდა ნ-სი რამეში; إِلَى-სი მიაღწია; გაემართა; 2) გაგზავნა; 3) გაუგზავნა; 3) შესრულდა, განხორციელდა; ძალა ჰქონდა (კა-

ნონს). I. نَفَذَ (I) გაატარა, გამკოლ გაუყარა; 2) გაგზავნა, إِلَى-სი გაუგზავნა; 3) განახორციელა, შეასრულა, სისრულეში მოიყვანა; 4) განხორციელა, შეუსრულა, სისრულეში მოუყვანა, დაუმტკიცა. نَفَذَ შესრულება, განხორციელება.

ნაწ. نَفَرَ (ი, უ), მასღ. نَفَرًا, نَفَرًا

გარბოდა დამფრთხალი (ცხოველი); იელტოდა, მოშორდა ნ-სი რასმე, თავი აარიდა, მოერიდა; إِلَى-სი გაემართა, მიიწვრავოდა ვინმესკენ; გავიდა საომრად. X-

ნაწ. نَفَرَ (ა) გრღუვ. გაიქცა შეშინებული; გრღმ. დამ. შეკრიბა ხალხი (ლაშქარი) საომრად.

ნაწ. نَفَرَ (ა) მრ. نَفَرًا ჯგუფი, რამდენიმე კაცი (სამიდან ათამდე).

نفس غاځځځځځځ, ლტოლვა.

نفس كაცების ჯგუფი (სამიდან ათამდე), გამზადებული საომრად.

نفس (ჟ). მასღ. نفسة იყო ძვირ-

ფასი. II. نفس დამ. 1) გააქარვა (მწუხარება); გაამზიარულა; 2) გამოუშვა ჰაერი.

نفس მრ. نفوس, სქ. სული; ცოცხალი არსება, ცხოვრება; პიროვნება; (გამოყენებულია რეფლ. ნაცვალსახელის საწარმოებლად, განსაკუთრებით ნაცვალსახელოვან ნაწილაკებთან) თავისი თავი (ვითარცაობიქტი); თვით, თვითონ.

نفس თვითონ ის; ينفسي მე თვითონ; كل نفس ყოველი

ღამიანი; انفسم თვითონ ისინი; قال في نفسه თავის გულში.

نفس مღ მრ. نفسة ძვირფასი.

نفس (ჟ), მასღ. نفس ჩეჩდა, წეწავდა (მატყოს, ბამბას).

نفس (უცს. წარმ.) ნავთი; مروط, ნფ

انفاط სატყორცნი იარაღი (ყუმბარის მსგავსი), რომლის შემადგენლობაში ძირითადი არის ნავთი.

نفاط მრ. სწ. მენავთე. 1) მუშა, რომელსაც ამოაქვს მიწიდან ნავთი; 2) ნავთის მტყორცნელი (ბროძლის დროს); არტილერისტი.

نفاطة ნავთის სატყორცნი მანქანა.

نفع (ა), მასღ. نفع ჰ. აკ. არგო, სარგებლობა მოუტანა.

نفع სარგებლობა. ანტნ. ضر.

منفعة მრ. منافع სარგებლობა, სასარგებლო რამ.

نفاق (ჟ), მასღ. نفاق კარგად საღებოდა, იყიდებოდა (საქონელი); გამოიღია, დაიხარჯა (სურ-

სათი). III. نافتى (ეთიოპ. nāfakā) იყო ორგული. პირმოთნე. IV.

انفق დამ. დახარჯა (ფული); აკ. دا اعلى-ით დახარჯა (ფული).

نفت مრ. نفقات ხარჯი.

انمافقون ორგული.

ორგულნი (იგულისხმება შეღებულნი, რომლებიც გარეგნულად სცნობდნენ ისლამს, მაგრამ სინამდვილეში იყვნენ ურწმუნო და წინასწარმეტყველისადმი შტრულად განწყობილი).

نفي (ი), მასღ. نفي უარყო, უკუაგდო; გააგდო, გააძევა.

نَفَى უარყოფა; გაგდება; გაძევება.

نَقَبَ (უ), მასღ. نَقَبَ დამ. გაამტვრია (კედელი), ხვრელი გააკეთა, გახვრიტა; -- نَقَبَ (უ), მასღ.

نَقَابَةٌ იყო მეთაური, უფროსი

علي ნ-ით ვინმესი.

نَقَبَ ხვრელის გათხრა; გახვრიტა.

نَقِيبٌ მრ. مَثَابَةٌ მეთაური, უფროსი.

نَقَدَ (უ), მასღ. نَقَدَ (<არამ. წმინდა; აქედანაა ნაწარმოები ზმნაც),

نَقَادَ 1) გადაარჩია, გადაითვალა ფული; გადაიხადა ნალდი ფული; 2) აკრიტიკებდა; განიხილავდა. VIII.

نَقَدَ დამ. 1) გადაარჩია, გადაითვალა, ფული; 2) აკრიტიკებდა; განიხილა.

نَقْدٌ ნალდი ფულის გადახდა;

مِ. نَقْدٌ ნალდი (შღრ.) ფული; ლითონის (უმთავრესად ვერცხლის, ოქროს) ფული.

نَقَرَّ (უ), მასღ. نَقَرَ დამ. 1) ურტყამდა, სცემდა; 2) ჩხვლეტდა; 3) უბერავდა საყვირში.

نَقِيرٌ საყვირი, ტრომბეტი.

نَقْرَسَ (<ზერძნ.?) ნეკრესის ქარი, პოდაგრა (შღრ. ქართ. ნეკრესი).

نَقَشَ (უ; <არამ.), მასღ. نَقَشَ ნაყშით დაფარა, ააფერადა, დახატა.

نَقَشَ ნაყშით დაფარვა, აფერადება;

مِ. نَقُوشٌ ფერადი ნახაზები, ფიგურები (შღრ. ქართ. ნაყში).

نَقَصَ (უ), მასღ. نَقَصَ, نَقَصَانٌ იყო ნაკლული, აკლდა; დამცირდა, შემცირდა, -მოიკლო.

نَقَصَ დაკლება, მოკლება; ნაკლულოვანება.

نَقَصَانٌ შემცირება, დაკლება, მოკლება; უკმარობა, ნაკლულოვანება.

نَقِصٌ მდ. 1) რაც იკლებს, მცირდება, ნაკლული. زَائِدٌ

مِعْتِنَاكُمَا მეტნაკლებად, მეტად თუ ნაკლებ.

نَقَضَ (უ), მასღ. نَقَضَ დაარღვია (პირობა, აღთქმა, ხელშეკრულება).

نَقَضَ დარღვევა (პირობისა, ხელშეკრულებისა).

نَقِضٌ დამრღვევი (პირობისა, ხელშეკრულებისა).

نقط კალმახი.

نقط (1) წერტილი; 2) წვეთი.

نقح (ა), მასღ. نقح 1) დაასველა; 2) იყო ჩაგუბებული (წყალი).

نقع 1) მტვერი; 2) გუბე.

نقل (უ), მასღ. نقل ღამ. გადაადგილა, გადაიტანა, გადაიყვანა; გადაიღო; გადათარგმნა; გადაწერა; გადმოსცა (ამბავი), ყვებოდა عن-ით ვისიმე სიტყვების (ან რაიმე წყაროს) მიხედვით. II. نقل ღამ. გადაზიდა,

გადაქონდა. V. نقل გადაადგილდა, გადავიდა; გადაიზიდა.

VIII. انتقل ადგილი გადაინაცვლა, გადავიდა, გადასახლდა عن-ან საიდანმე, الى-ით სადმე.

نقل გადაადგილება; გადატანა, გადაყვანა; წაღება, ზიდვა; გადაღება, გადათარგმნა; გადაწერა, გადმოცემა (ამბისა), მოყოლა.

نقل მღ. : მრ. نقل გადაპტა-

ნი, გადანზიდველი, გადამღები; გადამსვლელი. გადასული; გადმოსული; მთარგმნელი; გადამწერი, მომთხრობი (ამბისა და სხვ.).

منقول გადაადგილებული, გადატანილი, გადაზიდული, გადაღებული; გადათარგმნილი; გადაწერილი.

نقلى (oY, 11) მამ. საქ. სახ. ნიკოლა (?).

نقاوة نقاش იყო წმინდა, სუფთა.

نقاش სიწმინდე.

نكب (უ), მასღ. نكب ღამ. გადაადგო; დაამხო; ჩამოაგდო; ეწია (უბედურება და მისთ.).

نكت (უ), მასღ. نكت დაცარა, დაშალა, გამოხსნა (დაწნული, დაგრეხილი თოკი და მისთ); დაარღვია (აღთქმა, ხელშეკრულება და მისთ.).

نكح (ი), მასღ. نكح ღამ. დაქორწინდა (ცოლი შეირთო ან გათხოვდა) ვინმეზე.

نكاح ცოლქმრული კავშირი, დაქორწინება.

منكح მრ. 1) ქორწინება, დაქორწინება. 2) მრ. ქალები; ცოლები.

نكد (უ), მასღ. نكد ღამ. უარი უთხრა; უარყო; მისცა ცოტა; აწუხებდა თხოვნით; —نكيد (ა),

ასღ. نَكِدُ იყო მძიმე, ძნელი (ცხოველება).

სიმძიმე, სიძნელე, ძნელი ცხოვრება.

მხოვნი თხოვნით შეწყუხებული; ბევრის მთხოვნელი და ცოტას

მხოვნელი; مَنكُودُ الحَظِّ

ცოტას მხოვნელი; უბედური, ცუდი ბედის მქონე.

დამ. نَكِيرٌ, نُكْرٌ (ა), მასღ.

არ იცოდა, არ იცნობდა; არ

სცნობდა. IV. أَنكَرَ

დამ. არ სცნობდა; არ სჯეროდა, არ

სწამდა, არ ენდობოდა; უარ-

ყოფდა; ნ. აკ. და 3. من ნ-ით არ

მოუწონა; ნ. აკ. და 3. على ნ-ით

ნაწყენი იყო ვინმეზე. რისამე

გამო. مَنكِرٌ მღ. ო უარისმყოფელი.

მَنكِرٌ მღ. ო უარსაყოფი; გა-

საკიცხავი; ცუდი, ბოროტი;

ძიძი, საშინელი, უბედური,

აუტანელი.

ნკს (უ), მასღ. نَكَسٌ

დამ. 1) მოაბრუნა, შეაბრუნა, გადააბრუ-

ნა; 2) შეუბრუნდა ავადმყო-

ვობა.

ნკვ (ი,უ), მასღ. نَكَصٌ

მოიქცა, მობრუნდა عن ნ-ით

საიდანმე.

ნმ (უ, ი), მასღ. نَمَّ

აკ. გაამჟღავ-

ნა; ქორიკანობდა, ბ ნ-ით ცი-

ლი დასწამა; على ნ-ით დაა-

ბეზლა, გასცა.

მრ. نَمَّاءٌ ქორი, ცი-

ლისწამება.

ნმ ქორიკანა, ცილისმწამებელი.

ნმ ქიანქველა; ტილი (მღ.

ნმ). نَمَاءٌ.

ქორიკანა, ცილისმწამებე-

ლი, მამბეზლარი.

მრ. نَمِرٌ, نَمْرٌ ავაზა, პან-

თერა, ლეოპარდი.

ნმ I. 1) თავშესაფარი; ბუდე;

ბუნავი; 2) ბზულია, კოლო,

ბუზი; II. ის. نَمُوسٌ ასოგზე.

ნმ (<არამ. נמל < სპარს.

نَمْدٌ 1) სახურავი, საფარველი;

2) გზა, მანერა, წესი. عَلَى هَذَا

النَّمَطِ ამგვარად, ამ გზით.

ნმლ (უ) და نَمَلٌ (ა), მასღ.

ქორიკანობდა, ცილისმწამებ-

ლურად იქცეოდა.

ნმ ქორიკანაობა, ცილისმწა-

მებლობა.

نَمْلٌ კრებ., კერძ. ნ, კიანჭვე-
ლები (შდრ. نَم, نَمَاء).

نَمَى (ი), მასდ. نَمَى, გაი-
ზარდა, განვითარდა; მოიმატა,
გადილდა; 3. აკ. لا إلى ნ-ით
უკავშირებდა ვისიმე გვარს ვის-
მე; მიაჩნდა ვისიმე გვარი შთა-
მომავლად. VIII. اِنْتَمَى إلى ნ-ით
უკავშირებდა თავის გვარს ვის-
მე, მიაჩნდა თავისი გვარი რომე-
ლიმე ტომის შთამომავლად.

نَعَاءٌ მომატება, შემატება.

نَمُو ზრდა, გაზრდა, განვითა-
რება; მომატება, გადიდება.

نَمَاءٌ კიანჭველა; ტილი (შდრ.
نَمْل).

نَهَبَ (ა, უ), მასდ. نَهَبَ, მოი-
ტაცა, გაძარცვა. VIII. اِنْتَهَبَ
დამ. მოიტაცა, წარიტაცა; გა-
ძარცვა.

نَهَجَ (ა), მასდ. نَهَجَ ჩანდა (გზა);
დამ. მიდიოდა რომელიმე გზით.

نَهْرٌ (ა), მასდ. نَهْرٌ 1) მომდინარე-
ობდა, დიოდა (წყალი); 2) დამ.
უყვიროდა, უჯავრდებოდა; ყვი-
რილით გააგდო; შერისხა, გაუ-

რისხდა. VIII. اِنْتَهَرَ დამ. უყ-

ვიროდა, უწყრებოდა, უჯავრ-
დებოდა; შერისხა, გაურისხდა;
ყვირილით გააგდო.

نَهْرٌ مَرُّ نَهْرٍ, نَهْرٌ مَدِينَةٍ
წყარო; არხი. النَهْرُ ჯეონი,
ამუღარია. مَا وَرَاءَ النَّهْرِ
ჯეონის იქითა მხარე, ტრანს-
ოქსანია.

نَيْلٌ ღრ. نَهْرٌ დღე. ანტნ.

نَهَضَ (ა), მასდ. نَهَضَ ადგა; إلى
ნ-ით აღიმართა, აღდგა, გაე-
მართა ვისიმე წინააღმდეგ, მი-
უხტა, თავს დაესხა (მტერს).

نَهَلَ (ა), მასდ. نَهَلَ მო-
ვიდა, ჩავიდა დასალევად; და-
ლია პირველად; დალია.

نَهْلٌ ღრ. مَنَاهِلٌ აუზი.

نَهَى (ა), მასდ. نَهَى 3. აკ. لا ن.
ნ-ით შეიყენა, დააკავა, შეა-
კავა ჩამესგან; აუკრძალა; إلى
ნ-ით მიაღწია. VII. اِنْتَهَى

ნ-ით დასცხრა, თავი დაანება;
თავი შეიკავა ჩამესგან; إلى
ნ-ით მივიდა, მიაღწია ჩასმე;
ბოლომდე მიაღწია; დაბოლოვ-
და, გათავდა.

نَهَى აკრძალვა.

نَهَى კეუა, გონება.

نَهَابَةٌ ბოლო, დასასრული.

نَهَابَةٌ ბოლომდე მიღწევა; დასრულება; დასასრული.

مَنْتَهَى ლკიდურესი საზღვარი, ბოლო.

نَابٌ (უ), მასდ. نَوَابَةٌ, ნი-ით

შეცვალა, ვისიმე ზაგიერობა გასწია; نَابٌ ნ-ით დაუბრუნდა;

მიმართა. نَابٌ إِلَى اللَّهِ მიმართა

ლმერთს, შეინანა; نَابٌ (უ), მასდ.

نَوَابَةٌ დამ. ეწია, შეემთხვა (უბედურება).

عن دابة أناب IV. და

ნ-ით შეცვალა რამეთი; أَنَابَ

مِيْمَارْتَا لَمِერთს,

შეინანა. VIII. إِنْتَابَ დამ. და-

ლიოდა ვინმესთან ან სადმე; მიმართებოდა; მილიოდა ხოლმე; გაუმეორებოდა ხოლმე, ეწეოდა, შეემთხვეოდა ხოლმე (უბედურება).

نَوَابَةٌ მრ. نَوَابٌ 1) შენთხვევა, ამბავი; 2) რიგი, ჯერი, რიგრიგობით რისამე გაკეთება (მღრ. ქართ. ნობათი); 3) ჯგუფი

(ხალხისა), რომელიც რიგრიგობით ასრულებს რაიმე დავალებას; მკველი რაზმი; გარნიზონი.

أَصْحَابُ النَّوَابَةِ (ან أَهْلُ النَّوَابَةِ)

ჯარისკაცთა ჯგუფი, რომელიც რიგრიგობით ყარაულობს.

نَوَابٌ მრ. نَوَابٌ შემცვლელი;

მოადგილე; ნაცვალი, ნაიბი.

نَوَاحٌ (უ), მასდ. نَوَاحٌ, نِيَاحٌ, نَوَاحٌ

ტიროდა, მოსთქვამდა; نَوَاحٌ ნ-ით დასტიროდა, მოსთქვამდა ვისიმე გამო.

نِيَاحٌ მოთქმა, ტირილი, გლოვა;

გასვენება.

نَوَاحٌ (არამ. ܢܘܚ) მამ. სპ. სახ. ნოე.

نَوَاحٌ — IV. დააჩოქა (აქლემი, ე. ი. ჩამოხტა აქლემიდან; აქლემი) გაჩერდა; დაბანაკდა; განლაგდა (ლაშქარი) نَوَاحٌ ნ-ით ვისიმე წინააღმდეგ; ალყა შემოარტყა.

نَارٌ (უ), მასდ. نَوْرٌ ანათებდა.

II. نَوْرٌ დამ. გაანათა, დაანთო.

IV. نَوْرٌ ბრწყინავდა, ანათებდა; დამ. გაანათა.

نَوْرَانٌ ჩვეულებრივ მდ., მრ. نَوْرَانٌ ჩვეულებრივ მდ., მრ. نَوْرَانٌ

სინათლე, ნათელი.

نَوْرٌ მრ. نَوَارٌ სინათლე, ნათელი.

نَوْرٌ الدِّينِ ნათელი.

نَوْرٌ მდ. ბრწყინვალე.

სინათ- სინაირ', მანაორ', მანარა-
 მანარა- მანარა

ლის ადგილი, შუქურა, მინარე-
 თი (შდრ.).

انس. ნას.

ას კულული, უკან გადაგდე-
 ბული ქოჩორი თმისა. أبو
 ას აბუ ნოვსი, გამოჩენილი
 პოეტი (გარდ. 195-199/810-814 წ.).

ناش (უ), მასდ. ნაშ. დაიქი-

რა, შეიპყრო. III. نَاشٌ, წი
 ან ნ-ით შეუტია; დაესხა, შე-
 ეტაკა, შეებრძოლა; წი
 ბრძოლა გა-
 უმართა, შეებრძოლა.

شَاشَةٌ შეტაკება, ბრძოლა.

نوع II. ნაოე დაახარისხა, კლა-
 სიფიკაცია უყო.

نوع მრ. ნაოე სახეობა, კატე-
 გორაა; გვარი, ჯიში, მოდგმა.

نافة (უ), მასდ. ნაფე იყო მალა-
 ლი, აზიდული, ამალღებული.

IV. نافة იყო აღმართული,
 აწეული, აზიდული; სქარბობდა
 წი სიმაღლეში.

نافة ნაფე, მონარჩენი; ზედ-

მეტი. وَنَيْفٌ وَنَيْفٌ ათეუ-

ლებისა, ასეულებისა და ათასეულე-
 ბის შემდეგ აღნიშნავს რამდენიმე

ერთეულთ მეტს. نَيْفٌ وَسَبْعُونَ

სამოცდაათზე მეტი (რამდენიმე
 ერთეულით).

منيف მდ. მალალი, აღმარ-
 თული, ზევით აზიდული (მთა).

نافة მრ. نَوْقٌ დედალი აქლენი.

نال (უ), მასდ. ნალ. ან ნ-ით
 მისცა (ა. ან ნ-ით რაიმე).

نَالَ. ნალ. მიიღო.

نَوَالٌ საჩუქარი, წყალობა.

نَوَالٌ 1) დგომი; 2) გზა, ხერხი, სა-

შუალება, გვარობა. عَلَى مَنَوَالِهِ

მისებურად, მისი ჩვეულების
 მიხედვით.

نَوْمٌ (ა; I. პ. მს. რ. نَمَتْ) მასდ. ნომ

დაიძინა; დაწვა დასაძინებლად-

نَوْمٌ ძილი.

نَمَامٌ სრზმარი, ძილი.

II. نَوْنٌ გრ. ტრზ. ნუნნი
 გაუჩინა სიტყვას.

نُونٌ ნუნნი, ნ ასოს სახელწოდება.

نُونٌ (არამ. ܢܘܢ) შრ.

ნიანან. თევზი. ذُو النُونِ იონა წინასწარ-მეტყველის ეპითეტი.

نَوِينٌ ნუნეცია, სიტყვისათვის ნუნის გაჩენა ბოლოში.

نَوَى (ი), მასღ. نِيَّةٌ აკ. განიზრახა, გათიქრა, გადაწყვიტა; — მასღ.

نَوَى წავიდა, გაემგზავრა; გადასახლდა.

نَوَى სწრათევა, მიმართულედა; სოგზაურობა; გადასახლედა, განშორედა.

نَوَى კრებ., კერძ. ე კურკა (ჩვეულებრივ პალმის კურკა).

نِيَّةٌ შრ. نِيَاتٌ განზრახევა.

نِي. მს. რ. I. 3. -ნაცვალსახელოვანი

ნაწილაკი (აკუზაცია). أَخَذَنِي ამიყვანა მე.

نَابٌ შრ. أَنْيَابٌ ეშვი.

نَابٌ შრ. نَيْبٌ დაბერებული დედალი აქლემი.

نَوَفٌ. نَيْفٌ მს.

نَالَ (ა), მასღ. نَيْلٌ დამ. 1) მიიღწია, მიიღო, შეიძინა; 2) ეწია, შე-

ემთხვა (უბედურება). IV. أَنْالٌ აკ. უშოვა, მისცა.

نَيْلٌ მიღწევა, შეძენა, მიღება.

النَيْلِ შღ. ნილოსი.

هَآ არაბული ანბანის ოცდამეექვსე 3 ასო, სათვალავში აღნიშნავს 5-ს.

მს. რ. III. 3. მ. სქ ნაცვალსახელოვანი ნაწილაკი ნათესაობით ბრუნვაში (სახელებთან) ან აკუზაციაში (ზმნებთან): كِتَابُهُ მისი წიგნი; أَخَذْتُهُ ავიღე ის.

هَآ მს. რ. III. 3. შღ. სქ. ნაცვალსახელოვანი ნაწილაკი ნათესაობით ბრუნვაში (სახელებთან) ან აკუზა-

ციაში (ზმნებთან) مِيسِي كِتَابَهَا მისი წიგნი; أَخَذْتُهَا ავიღე ის.

هَاتَيْنِ. هَاتُوا. هَاتِي. შღ. هَاتِ აკ. მოიტა.

هَارُونَ (არამ. ܗܪܘܢ) შრ.

მამაკაცის საკ. სახ. არონი. هَارُونَ. ارشيد. ارشيد. შღ.

هَذِهِ ^ა მრ. რ. სიტყვებისა ^ა هَوْلًا

ნ. ღა.

هَنَا ^ა ნ. ^ა هَهُنَا, ^ა هَاهُنَا

ჰაუნ (< სპარს.) ^ა هَاوُونَ ^ა და ^ა هَاوُونَ

მრ. როდინი ^ა هَوَاوِينَ

هَبَّ ^ა მს. რ. II. 3. მამ. სქ. ბრძ.

ჰმნისა. ^ა وَهَبَّ

ჰებ ^ა (უ), მასდ. ^ა هَبَّ ^ა ქროდა (ქა-
რი); ^ა هَبَّ ^ა ნ-ით უქროდა, უბე-
რავედა; დაუქროლა.

ჰებ ^ა ქროლა (ქარისა).

هَتَفَ ^ა (ი), მასდ. ^ა هَتَفَ ^ა ყვიროდა;
ბ ნ-ით უძახოდა, უხმობდა.

هَتَكَ ^ა (ი), მასდ. ^ა هَتَكَ ^ა მამ. მო-
გლიჯა, მოხსნა (სათარველი);
გახია, გატხრიწა.

هَجَرَ ^ა (უ), მასდ. ^ა هَجَرَ ^ა მამ.

გამოეყო, გაშორდა, ურთი-
ერთობა შეწყვიტა ვინმესთან;

მიატოვა, მოშორდა. III. ^ა هَجَرَ

მამ. მოშორდა, გაშორდა; აბსოლ.
გადასახლდა, გაემგზავრა ^ა الى
ნ-ით სადმე.

ჰებრა ^ა გადასახლება, გადახვე-
წა, ემიგრაცია. ^ა هِجْرَةٌ

რა, მუჰამადის გადასახლება
შეჰიდან მედინაში (622 წელს).

هَاجِرٌ ^ა ვინც გადადის, გადა-

სახლდება სხვა ქვეყანაში, ემი-

გრანტი; ^ა هَاجِرِي (17, 10)

ვინც მუსლიმანობა მიიღო, მუ-
სლიმანი.

ჰაჯრე ^ა შუადღე, შუადღის სიტყე.

هَاجِرٌ ^ა ვინც გადადის, გადა-

სახლდება სხვა ქვეყანაში, ემი-

გრანტი. ^ა الْمُهَاجِرُونَ

ემიგრან-
ტები, მუჰამადის მიმდევარნი. შექის
ის მცხოვრებლები, რომლებიც მედი-
ნაში გადასახლდნენ.

هَجَمَ ^ა (უ), მასდ. ^ა هَجَمَ ^ა მოულოდ-
ნელად მივიდა ^ა على ^ა ნ-ით ვინ-
მესთან; თავს დაესხა მოულოდ-
ნელად.

هَجَا ^ა (უ), მასდ. ^ა هَجَا ^ა მამ.

დასცინოდა; სატირა დაუწერა,
სასაცილოდ გამოიყვანა ლექსში.

ჰეჯო ^ა ლექსში დაცინვა, სატირა.

ჰეჯა ^ა სატირა, დაცინვა.

هَدَّ ^ა (უ), მასდ. ^ა هَدَّ ^ა მამ. გრძმ. და-

ანგრიბა, დაარღვია; ^ა هَدَّ ^ა (ი), მასდ.

გრძე. დაინგრა, და-

ირღვა. II. ^ა هَدَّدَ ^ა შეაშინა, დაემუქ-
რა ბ-ით რასმე.

هدأ (ა), მასღ. هدوء იყო წყნარი, ნშვილი; დაწყნარდა, დამშვიდდა.

هدوء სიმშვიდე, სიწყნარე.

هدأ ღამის პირველი მესამედი.

هدأ (ი), მასღ. هدأ გუზგუზებ-

და, ხმაურობდა (ცეცხლი ბუხარში); გრგვინავდა; ლულუნებდა (მტრედი); ჩქეფით ხმაურობდა, ჩუხჩუხებდა (მდინარე); ყვი-

როდა, ბლაოდა, (აქლემი); - هدأ

(ი,უ), მასღ. هدأ უნიზებოდ, ტყუილ-უბრალოდ დაიღვარა

(სისხლი). IV. هدأ უმიზებოდ, ტყუილ უბრალოდ დაღვარა

(სისხლი). هدأ გამოაცხადა მისი სისხლი უფასურად, ღირებულების არ მქონედ, ე. ი. ნება დართო დაუსჯელად ჩისი სისხლის დაღვრისა, მისი მოკ-

ვლისა. ანტნ. هدأ حقة.

هدأ გუზგუზი (ცეცხლისა; გრგვინვა; ლულუნი (მტრედისა); ხმაურობა, ჩუხჩუხი (მდინარისა); ყვირილი (აქლემისა).

هدأ (უ), მასღ. هدأ الى ნ-ით მიუახლოვდა ვისმე, მივიდა ვინმესთან.

هدأ მრ. هدأ ნიშანი, მიზანი (სასროლად).

هدأ (ი), მასღ. هدأ ღამ. დაანგრიდა, დაარღვია (შენობა). VII.

هدأ დაინგრა, დაირღვა.

هدأ (ი), მასღ. هدأ ორ. აკ. ან აკ.

და. ل ან الى ნ-ით მიჰყავდა სწორი გზით, უქლოდა; აბსოლ.

სწორი გზით მიდიოდა. IV.

هدأ ნ. აკ. და ჰ. ل ან الى ნ-ით მიაართვა, მიუძღვნა, აჩუქა.

هدأ კრებ. სამსხვერპლო ცხოველები (ჩვეულებრივ აქლემები), რომლებიც შექაში მიჰყავთ ალღო-სათვის შესაწირავად.

هدأ ორ. სქ. სწორი გზით წარმართვა; სწორი, კემმარტი გზის ჩვენება, ხელმძღვანელობა; სწორი, კემმარტი გზა.

هدأ მრ. هدأ 1) საჩუქარი, დღვენი; 2) იგივეა, რაც هدأ.

هدأ და სხვ. ის. ذأ.

هدأ (ი), მასღ. هدأ ღმუოდა (ძალღი).

هدأ მღ. ذأ კატა.

هدأ (უ), მასღ. هدأ გაიქცა,

ივლტოდა. VI. هدأ გაიქცა, ივლტოდა ნ-ით გაექცა ვისმე ან გაიქცა საიდანმე.

هَرَبْ გაქცევა, ლტოლვა.

هَارِبْ ვინც გარბის, გაქცეული, ლტოლვილი.

هَرَكْ შარაქი, ადგ. სახ. არშენიაში.

هَرَمْ (ა), მასდ. هَرَمْ ძალიან დაბერდა, მიიხრწნა (სიბერისაგან).

هَرَمْ მიხრწნილი მოხუცი.

هَارُونَ ის. هَرُونَ.

هَزَلْ (უ), მასდ. هَزَلْ ახსოვ., გრღვე. იყო განზდარი, მჟღე; გახდა; დამ.

გრღმ. მასდ. هَزَلْ გახდა, დაამჟღე; მასდ. هَزَلْ

მჟღე; -- هَزَلْ (ი), მასდ. هَزَلْ ხუმრობდა.

هَزَمْ (ი), მასდ. هَزَمْ, هَزِيمَةٌ დამ.

გააქცია, უკუაქცია (მტერი), დაამარცხა. VII. هَزَمَ

გარბოდა, გაიქცა, ივლტოდა, დამარცხდა. (მტერი).

هَزِيمَةٌ გაქცევა, ლტოლვა; დამარცხება.

هَشَامْ მამ. საკ. სახ. ჰიშამი.

هَصَابَةٌ (56, 112) რომელიღაც ადგილის სახ. ვასპურაკანში (არშენიაში).

هَكَذَا ის. هَكَذَا.

هَلْ კითხ. ნაწ. ნუთუ? განა? - ა?

هَلْ (أَنْ) أَنْ، هَلْ მომდევნო هَلْ لَكَ

ან იშვითოდ الى ნ-ით შეგძლია?

ხომ არ გასურს? ხომ არ...? هَلْ - თუ - თუ?.

هَلَّا (هَلْ لَا <) განა არ? რატომ არ?.

هَلَّا (უ), მასდ. هَلَّا გამოჩნდა, ამოვიდა (ახალი მთვარე).

هَلَالٌ შრ. هَلَالٌ ახალი მთვარე.

هَلْ ის. هَلَّا.

تَهَلَّكَ, مَهَلَّكَ, هَلَّكَ (ი), მასდ. დაიღუპა; მოისპო; მოკვდა.

IV. أَهَلَّكَ დამ. დაღუპა; მოსპო; მოკლა.

هَلَكَةٌ დაღუპვა.

هَلَاكَ დაღუპვა; მოსპობა; სიკვდილი.

هَلَاكٌ დაღუპვის ადგილი, დასაღუპავი ადგილი.

هَمْ შრ. რ. III. 3. შ. სქ. ნაცვლ-სახელი ისინი.

هَمْ (უ), მასდ. هَمْ ზრუნავდა, ფიქრობდა, განზრახვა ჰქონდა ბ ნ-ით რისამე; 3. ბ ნ-ით განზრახა ვისიმე მიმართ (რამე), დაუპირა (რამე); იყო განწყობილი, მიისწრაფოდა, الى ნ-ით რამესკენ; 3. აკ. აფიქრებდა, აწუ-

ხებდა (რამე). IV. **هَامَ** დაშ. შე-
ათქვიანა, ჩაათქრა, დაათქ-
რა, აღელვებდა, აწუხებდა.

VIII. **هَاتَمَ** ფიქრობდა, წუხდა,

ზრუნავდა **ب** ნითრისამე გამო.

هَمَّ შრ. **هَمَمَ** ფიქრი, ზრუნვა.

هَمَّ შრ. **هَمَمَ** ფიქრი, აზრი;

